572
1968/2.

№ 9 სექტემბერი 1968

სკოლაში მიდის პეთინო

ნოდარ შამანაძე

— ვის დასჯიკჯიკებთ, ჩიტებო,
ასე რა გაგხარებიათ?
— ჰატარა ქეთოს ვაცილებთ,
სკოლაში მიჰყავს ბებიას.
— სით იჩქარი, ბურია,
ორდობე გაგირბენია?
— ჰატარა ქეთოს ვაცილებ,
სკოლაში მიჰყავს ბებიას.
— რაზე ჩურჩულებთ, ეერსტვებო,
ტანი რომ გაგთეთრებიათ?
— ქეთინოს მივესალმებით,
სკოლაში მიჰყავს ბებიას.

ნახატი **ზურაბ მეძმარიაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.689.

ქიღები

თამარ ჩხაიძე ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

— ერთი, ორი, სამი, ოთხი! — ითვღიდა თათია. ათამდე რომ ავიდა, გაჩუმდა.

— ჰე, მომაწოდე, რას უდგახარ? — შეახსენა დედამ.

— დედა, სულ რამდენი ქიღა მურაბა მოხარშე?

— ოცი ქიღა იქნება, შვიღო, — მიუგო დედამ.

— ოცამდე თვღა რომ არ ვიცი?! — თქვა თათიამ.

— რა გეჩქარება, სწავღა სიბერემდეო, — გაიცინა დედამ — აბა, მეთერთმეტე ქიღა მომაწოდე!

— თერთმეტი! — გაიმეორა გოგონამ.

— ახღა მეთორმეტე!

— თორმეტი! — ითვღიდა თათია და თვღას სწავღობდა.

მაჯარებლის ცეცხლფარეში

ა. კონონოვი

ნახატი რეპეპზ ცუცქირიძისა

ღამის პირველ საათსა და ათ წუთზე, პეტროგრადის ახლოს, სადგურ უდელნში, უნდა გაჩერებულიყო მატარებელი № 71. მეშანქანეს ორთქლმავალი ჩვეულებრივზე ოდნავ ზემოთ,— პლატფორმის თავში უნდა დაეყენებინა. იქ ელექტროფარნის სინათლე ვერ აღწევდა. ცეცხლფარეში ორთქლმავლიდან გადმოვიდოდა და მის ადგილს ვლადიმერ ილიას მე დაიკავებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელი გაჩერდა და ცეცხლფარეში ორთქლმავალიდან ჩამოხტა, ორთქლმავალზე ლენინი ავიდა და ცეცხლფარეშის ადგილი დაიკავა.

ვლადიმერ ილიას ძე კედელზე ლურსმანი ძოძებნა და ზედ ჰალტო ჩამოჰკიდა, სახელოები დაიკაჭიწა და მუშაობას შეუდგა: შუშას საცეცხლეში ერიდა და ალმოდებულ მუგუზლებს ჩხრეკდა.

მემანქანე წამდაუწუმ იხედებოდა და გაოცებით ათვალიერებდა ვლადიმერ ილიას ძეს. ახალი ცეცხლფარეში საქმეს ჩინებულად უძღებოდა.

ასე მიაღწიეს ფინეთის საზღვრამდე, სადგურ ბელოოსტროვს.

დაიწყო საბუთების შემოწმება. მთელ მატარებელს ჩხრეკდნენ.

მემანქანე ჩამოხტა, ორთქლმავალი მატარებელს მოხსნა და წყალსატუმბთან მიაყენა. წყლის ამოტუმბვას არ ჩქარობდა. სადგურსე უკვე მესამე ზარი ჩამოჰკრეს, ორთქლმავალი კი კვლავ წყალსატუმბთან იდგა.

მემანქანესთან ქლოშინით მიირბინა მთავარმა კონდუქტორმა და ანიშნა: გავდიეართო! მაშინ მემანქანემ სწრაფად მიაყენა ორთქლმავალი და მატარებელს დუბა. მთავარმა კონდუქტორმა სასტვენს ჩაჰბერა.

ბაქანზე ოფიცერი იდგა და მემანქანეს აკვირდებოდა. ეტყობოდა, უყველაფერს მიხვდა; ყიდაცას ხელი დაუქნია და ორთქლმავალს სალდათები დაედევნენ...

მაგრამ უკვე გვიანდა იყო, ორთქლმავალი საზღვარზე გადადიოდა.

თარგმნა **შოთა ჩანგლაძემ**



ოქტომბრელთა სიმღერა

ლეილა ერაძე

ჩვენ ოქტომბრის შვილები ვართ,
ოქტომბრელიც მიტომ გვქვია.
ყველას მკერდზე რომ გვიბრწყინავს,—
ოქტომბრელთა ვარსკვლავია.

ვარსკვლავია აწაწინა,
ზედ ლენინი ახატია,
ჩვენი დიდი სიხარული
მისი სიბრძნის ღაღადია.

ჩვენ გბირდებით, ფიცს ვდებთ ყველა,
გავიზრდებით ქვეყნის თვალი
და ვიქნებით ჩვენი ერის
საიმედო მომავალი!



ნახატი **გიორგი ჩოჩინიშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდთავა ბიჭი და ცისფერთვალა გოგონა

რეჟისორ ინანიშვილი ნახატი ჯემალ ლოლუასი

თოკზე სარეცხი შრებოდა. თოკის ქვეშ პატარა დიდთავა ბიჭი იდგა და თვაღს აღევნებდა, როგორ ბერავდა, მაღლა ეწეოდა და ატკაცუნებდა ნიავი ქათქათა ზეწრებს. გამოიარა ერთმა შავთვაღა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ზეწრებს, გამოიარა მეორემ—ჭრეღთვაღა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ზეწრებს. გამოიარა მესამემ—პატარა ცისფერთვაღა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ბიჭს, გოგონებს და ზეწრებს. მაშინ ბიჭი მობრუნდა და ღიმიღით იკითხა:

— იცით, აქ რა ხდება? ნიავი ამბობს...

— რაო?!—გაკვირვებით წამოიძახეს შავთვაღა და ჭრეღთვაღა გოგონებმა, ერთმანეთს გადახედეს, მერე დიდთავა ბიჭი და პატარა ცისფერთვაღა გოგონაც აათვაღ-ჩაათვაღიერეს, აქ ჩვენი ადგილი არ არისო, და თავთავიანთი გზით მოკურცხღეს.

დარჩნენ მარტონი პატარა დიდთავა ბიჭი და პატარა ცისფერთვაღა გოგონა.

— ნიავი ამბობს...—განაგრძო ბიჭმა.—სად არის ის ღამაზი ხეღები, რომელმაც თქვენ ასე გაგაქათქათათო. ზეწრები დედას ეძახიან, გამოდი და უჩვენე ნიავს შენი ღამაზი ხეღებიო, დედას კი არ სცაღია. თავისი ღამაზი ხეღებით ახღა ის ჰურჰეღს რეცხავს, მერე მტვერს დასწმენდს, მერე საღილის კეთებას შეუდგება...

პატარა ცისფერთვაღა გოგონამ მაღუღად გამოშაღა თავისი სიფრიფანა ხეღები, დახედა და სწრაფად დამაღა ზურგს უკან. ერთ ხანს ასე იდგნენ გოგონაც და ბიჭიც, ჩუმად. მერე გოგონამ ბიჭს ჰკითხა:

— რა გქვია?

— ადამი.

— მე რომ გავიზრდები, მეც ღამაზი ხეღები მექნება, ადამ. ვიყო შენთან?

— იყავი.

და დაიწყო დიდი, დიდი მეგობრობა, და გაგრძეღდა დიდხანს, სანამ ნისღივით არ გადათეთრდნენ ის გოგონაც და ის ბიჭიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესრულდა 150 წელი დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან.

ამ თარიღს ზეიმით აღნიშნავს მთელი ჩვენი ქვეყანა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ვეჟა-ფშაველა

შენი მერანი კვლავაც რბის,
მისი ნავალიც შთენილა,
უმადლოდ არ დაკარგულა,
თუ ოდეს ცრემლი დენილა.

მიიღე ჩემი სალამიც
გამოგზავნილი მთიდამა,
ჩვენი არაგვიც მუხლს გიყრის,
გადმომქუხარე კლდიდამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ კაცი კარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ეშსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა მხრუნველს!

ჯილი ქართლისა

/ნაწყვეტი პოემიდან/

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭაღებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მოგბიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძღოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
ცხენს მოაძოვებს, თვაღს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბღს განიგრიღებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

რაკ ერთხელ ცხოვრად სულს დაეჩნდეს,
საშვილიშვილოდ გარდაუკვეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი ზურაბ კაკაბაძისა

ქეთევან ჭილაშვილი

კოწიწ, კოწიწ კოკუკაო

მერაბი სკოლიდან მოდიოდა და მოიმღეროდა. კარგ გუნებაზე იყო: დღეს თავი ისახელა, მასწავლებელმა ბეჯითობა შეუქო. ჩინაანთ ბაღებს რომ გაუსწორდა, ღობეს შავმანდილიანი ქალი მოადგა და გამოსძახა:

— ჰაი, მერაბ!

— რა გნებავთ, ძალო?

— შენ გაზრდას, ამ კოკურათი ცივი წყალი მომირბენინე. ეს დალოცვილი მზე ისე გაფიცხდა...

— ახლავე!—მერაბმა კოკურა ჩამოართვა და გაიქცა.

წყარო მაჯისსიმსხოდ გადმოდიოდა და სველ ლოდებზე შხეფებად იფრქვეოდა. მერაბმა კოკურაში წყალი ჩაასხა და ერთი-ორჯერ შეაჯანჯღარა გამოსავლებად: კოკურა უნდა გაეგრილებინა, თორემ წყალს მაშინვე დუბელას გახდიდა.

უცებ მერაბს ქვაზე ფეხი აუსხლტა და კოკურა იქვე ლოდის ქიმს მიჰკრა. ჰახო!—და, ზედ შუაზე გადატყდა.

ბიჭს ფერი ეცვალა,—შიშით კი არ შეშინებია, იცოდა ძალოს კეთილი ხასიათი, მაგრამ შერცხვა: ვაჟკაცობაზე თავსა სდებს და ეს თითისსიგრძე კოკურა ორ ნაბიჯზე ვერ უნდა აეტანა? იდგა მერაბი და დაძმარებული დასცქეროდა ნატეხებს.

— რა იყო ბიჭო, რას ჩამოგიშვია ცხვირი!—მხარზე ხელი დაჰკრა სასონე პაპამ, რომელსაც წყალზე იხვები ჩამოელალა.

— ოჰო, გაამთელე, ბარაქალა, ვაჟკაცო!—ჩაიხითხითა ბერიკაცმა.—მერე რას ჩამოგტირის ცხვირპირი, შენი ჭირიც წაუღია...

— სალომე ძალოსია!—წაიდუდუნა მერაბმა.

— მერე და იყოს, მაგ კოკურისოდენა პატივისცემა აღარ მიგვიძღვის ძალოშენთან?..

ამის თქმა იყო და, წყაროზე შეშინებული სალომეც ჩამოვიდა:

— რა იქენი, ბიჭო, რას გადამრიე?

— კოკურა გამიტყდა,—თავი ჩაღუნა მერაბმა და თვალებში მუშტი ამოისვა.

— უი, დამიდგეს თვალები, მაგაზე დარდობ?—შეწუხდა სალომე,—კოკა წყლის გზაზე უნდა გატყდესო. რაკი შენ უვნებლად დამხვდი, კოკურას რას დავეძებ!

— მერაბ, ეგ ნატეხები თან წამოიღე,—უთხრა სასონე პაპამ, იხვებს წკნელი აუჭრია და გზაზე გამოვიდნენ.

— რძე გვაქვს კოკობში?—ჰკითხა პაპამ საღამოხანზე შვილიშვილს და თაროდან ჭრელი ქოთანი ჩამოაღებინა. ამ ქოთანში პაპა გაცრილ კირს ინახავდა კოწიწისათვის. მერაბმა ახლა სამზარეულოში შეირბინა და კოკობი გამოიტანა. პაპის რჩევით, ერთი მუჭა კირი ჯამში ჩაყარა, ზედ რძე დაასხა და თაროზე შედგა.

სამი დღის მერე კირი ფაფად იქცა. სასონე პაპამ მერაბს ახლა ბამბა გაარევინა შიგ და მერე კი ხელები დააკაპიწებინა.

მერაბმა კოკურის ნატეხები ერთმანეთს მიუყენა, და ზედ კოწიწის ზოლი ფაქიზად გადაატარა.

— კოწიწიანი კოკურის წყალი იცი რა გემრიელია!—იღიმებოდა სასონე პაპა.—ერთი-ორი დღე აცადე, კარგად გაშრეს, მერე წყლით აუვსე და ძალოშენს ისე მიართვი.

„კოწიწ, კოწიწ, კოკურაო,
მთელი წყაროს მოწკურაო“.—ღიღინებდა სასონე პაპა. მერაბი კი გახარებული შეჰყურებდა დაკოწიწებულ კოკურას.

იზარდე, ჩემო პატარავ!..

ილია ხოშბარია

იზარდე, ჩემო პატარავ,
ღამაზო, ხუჭუჭთმიანო,
გულში ჩამეკარ მამიკოს,
კოცნა არ დამიგვიანო.

დიდით რომ წამოფრინდები,
ჰო, რა სიხარულს მანიჭებ,
იცინე, იმხიარულე,
ჭრეულ-ჭრეულ პეპლებსაც დაგიჭერ.

გიყვარდეს წიგნი მუდამ ჟამს,—
ღამპარი ჩაუქრობელი,
ტოლ-მეგობრები, სამშობლო,
შენი აღმზრდელი მშობელი.

ჯუჯილი და მართალი

ოვანეს თუმანიანი

ნახატი ლიმიბარი ზარაფიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე. ამ მეფემ თავის ქვეყანაში გამოაცხადა:

— ვინც ისეთ ტყუილს მეტყვის, მე რომ არ გამიგონია, ჩემი სახელმწიფოს ნახევარს მივცემო.

პირველად მწყემსი ეახლა და უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, მამაჩემს ერთი ისეთი კომბალი ჰქონდა, დედამიწიდან ცაში ვარსკვლავებს ურევდაო.

— ეგ შეიძლება მომხდარიყო,— მიუგო მეფემ.—პაპაჩემს ისეთი გრძელი ჩიბუხი ჰქონდა, გაჩაღება რომ უნდოდა, მზეზე უკიდებდა ხოლმეო.

ტყუილის მთქმელმა თავი მოიფხანა და გავიდა. მერე თერძი ეახლა:

— მაპატიეთ, მეფეო, რომ დავაგვიანე: გუშინ ერთი თავსხმა და მეხთატეხა იყო, ცა გაირღვა: დასაკერებლად ვიყავიო.

— ჰოო, კეთილი საქმე გიქნია,—მიუგო მეფემ,—მაგრამ კარგად ვერ დაგიკერებია: ამ დილას მაინც წამოწვიმაო.

თერძმაც აიკრა გუდა-ნაბადი.

ბოლოს ერთი ღარიბი გლეხი ეახლა, იღლიაში ჩანახი ჰქონდა ამოდებული.

— შენ რაღა გინდაო?—შეეკითხა მეფე.

— ერთი ჩანახი ოქრო რომ გმართებს, იმის წასაღებად მოვედიო.

— რომელ ოქროზე მელაპარაკებიო?—გაუკვირდა მეფეს,—ცრუობ, მე შენი არა მმართებს რაო.

— კეთილი და პატიოსანი! რაკი ტყუილს ვამბობ. მაშინ შენი სახელმწიფოს ნახევარი ჩემიაო.

— არა, არა, მართალს ამბობო!—გადათქვა მეფემ.

— თუ მართალს ვამბობ, მაშინ ერთი ჩანახი ოქრო მომეციო.

თარგმნა არჩილ დავითიანმა



გურამ სამსონაძე

ნახატი მალხაზ ქუხაშვილისა

ფანქარი და საშლელი

ერთხელ ფანქარმა ავტომანქანის დახატვა მოინდომა.

მაგიდაზე თეთრი ფურცელი შენიშნა, ისკუპა და ზედ შეხტა. ხატვა რომ დაიწყო, სად იყო, სად არა, საშლელი წამოეპარა და თვალთვალი დაუწყო. როგორც კი ფანქარი თავს მიაბრუნებდა, თუ ნახატი არ მოეწონებოდა, საშლელი მაშინვე წაშლიდა.

გაოცებულმა ფანქარმა ბოლოს, როგორც იქნა, შენიშნა ოინბაზი საშლელი:

— ოჰ, შე აბეზარა, შენა. ხელს მიშლი ხომ?—გაბრაზდა ფანქარი,—სტაცა საშლელს ხელი და ეზოში გადაუძახა.

მერე გულდამშვიდებულმა, სულმოუთქმელად დახატა ავტომანქანა და თავმომწონედ გასძახა ბავშვებს ეზოში,—მოდით, ნახეთ, რა კარგი ავტომანქანა დავხატეო.

ბავშვებმა, ნახატს რომ დახედეს, იცინეს და იცინეს...

— ეგ ხომ ყუნწიანი მსხალია!—თქვა ერთმა.

— მსხალი კი არა წაქცეული ბოთლია!—შეედავა მეორე.

— როგორ?—გაიოცა განაწყენებულმა ფანქარმა,—ვერა ხედავთ, რომ ავტომანქანაა?!

ბავშვებმა გულიანად იცინეს და ისევ ეზოში გაიქცნენ.

დარჩა მარტო ფანქარი და გული აუჩუყდა. თვალზე ცრემლი მოადგა.

ამ დროს ვიღაცამ ზურგში ხელი წაჰკრა:

— რას ტირი! მოიწმინდე ცრემლები! აბა, თავი მიაბრუნე და არ გამოიხედო, სანამ არ გეტყვი.

ფანქარი ასეც მოიქცა. უხეიროდ დახატული ავტომანქანა, თითქოს ცამ ჩაყლაპაო, თვალის დახამხამებაში გაქრა ქაღალდიდან.

— აბა, ახლა გამოიხედე!

ფანქრის წინ საშლელი იდგა.

— ახლა თავიდან დაიწყე. თუ არ ივარგებს, ნუ ინაღვლებ; სანამ ნამდვილ ავტომანქანას არ დახატავ, გვერდიდან არ მოგშორდები. ოღონდ ნელა ხატე, არ იჩქარო!—უთხრა საშლელმა.

ფანქარმა ხატა და ხატა, ხატა და ხატა... ბოლოს ისეთი მანქანა დახატა, კაცს ნამდვილი ეგონებოდა.

მას აქეთ ფანქარი და საშლელი ერთად ცხოვრობენ და შრომობენ.

სიზმარი ავტობუსი

ბურამ ხარაბიძე

სიზმარას ისე მოეწონა ბპილოს ცეკვა, რომ უკან-უკან ცქერით ლამის კისერი მოეღრიცა.

— ვაიმე!—წამოიყვირა და მანქანა დაამუხრუჭა.

— რა ამბავია, რა მოხდა?—გამოეპასუხნენ აქეთ-იქიდან.

— ვიღაცამ კისერში მიპწკინა.

მიამუნი ჭყივილით შეახტა სიზმარას, კისრიდან რალაკ ამოუყვანა, ხელისგულზე დაისვა და თვალები დააჭყიტა:

— ჭიანჭველა, ჭიანჭველა!

— გამარჯობა, ჭიანჭველავ!—მიესალმა ჭრელი ჩიტი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობრებო!—დაიწრიპინა ჭიანჭველამ.

— აქ საიდან გაჩნდი?—ჰკითხა კენგურუმ.

— როგორ თუ საიდან?! თქვენთან ერთად წამოვედი ზოოპარკიდან.

ორი ძალური ეჭვი

გიორგი კაჭახიძე

მდინარეში სანადიროდ
გამოვიდა დილით წვერა,
პაწაწინა ონავრების
მოსაძებნად, დასაჭერად.

ტრიალებდა, სრიალებდა
ხან მორევში, ხან ნაპირთან.
აგერ ჭია დაინახა,—
შეჩერდა და დააკვირდა.

მოიხიბლა, მოეწონა,
ვერ გაბედა პირის ხლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უყურე შენ!—ჩაიხითხითა სპილომ,—შენი დანახვა სათვალით თუ შეიძლება. აი, მაიმუნს რომ უყვარს, იმ სათვალით.

— მართალია, პატარა ვარ. მაგრამ მეც ვშრომობ და ვცხოვრობ ქვეყანაზე. მეც მინდა თქვენთან მეგობრობა და კეთილ ზოოპარკში ცხოვრება, წამიყვანეთ...

— წავიყვანოთ, წავიყვანოთ! — აბმაურდნენ ავტობუსში.

— მხოლოდ ერთი პირობით!—გააფრთხილა სიზმარამ.

— რა პირობით?

— უნდა გვიამბო შენი თავგადასავალი.

— ეგ რაა და, მაგის თავგადასავალი რა უნდა იყოს!—თავისას არ იშლიდა მაიმუნი.

ამის გაგონებაზე ჭიანჭველა მაიმუნს უურში ჩაუძვრა, ერთი ისეთი უკბინა, მაიმუნმა სიმწრისაგან საშინლად შეჰკივლა.

— ახა შენზე! ყველას რომ დასცინი, იფხარკალე ახლა და, იყავი!— ამოიღო ხმა სირაქლემამ.

— ძმობილო, ჭიანჭველა, კარგი, ეყოფა, თავი დანებე, გამობრძანდი უურიდან და პირობა შეგვისრულე!—შეახსენა ჭრელმა ჩიტმა.

ჭიანჭველა დინჯად გამოცოცდა უურიდან, მაიმუნს ამაყად გადახედა, მერე სიზმარას მხარზე ააღოდა, ცოტა შეისვენა და დაიწყო:

— ჩვენი სახელმწიფოები მთელი დედამიწის ზურგზეა მიმობნეული.

სახელმწიფოს ხსენებაზე მაიმუნს გადაკისკისება ერთ რამეს ერჩია, მაგრამ ჭიანჭველას ნაკბენი რომ გაახსენდა, ტუჩებზე იკბინა.

— ყოველ სახელმწიფოს,—განაგრძო ჭიანჭველამ,—თავისი დედოფალი ჰყავს, რომელსაც ყველა ჭიანჭველა ემორჩილება. გინახავთ, მფრინავი ჭიანჭველები?

— მინახავს, მინახავს,— თქვა ჭრელმა ჩიტმა.

— ისინი ჩვენი ნათესავები არიან, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა, დიდი ზარმაცები და უსაქმურები ბრძანდებიან. ამიტომ ბინებიდან მუდამ ვერეკებით ხოლმე. ჩვენ კი ვაგებთ ქალაქებს, ციხე-კოშკებს, ვიმარაგებთ ზამთრის საზრდოს, ვებრძვით მეზობელ ტომებს. უსაქმოდ ვერც ერთ ჩვენგანს ვერ ნახავთ.

— თქვენც ომობთ?—უურები ააპანტურა სპილომ.



აკვირვებდა: ჭია ძაფით
მდინარეში რატომ ება.

უხალისოდ უკან-უკან
დაიხია ნელა-ნელა.
ამ დროს ღორჯო გამოვარდა
სულწასული, ღორმუცელა.

— სულელია!—თქვა წვერაზე,—
ბედოვლათი, გასაკვირი.
რისთვის კარგავს ასეთ ლუკმას!—
და წაავლო ჭიას პირი!

უცბად ძაფი ადგილს მოსწყდა,
აიტაცა ღორჯო ზემოთ.
— ანკესს თევზი ამოჰყვაო,—
გადასძახა ბიჭებს თემომ.

— ბრიყვი იყო უბედური,
დაილუპა თავი ძალად!—
თქვა წვერამ და სახიფათო
ადგილს უმალ გაეცალა.

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

— ვომობთ რომელია!—ჯარიცა გვყავს და მოავარსარდლებიც.

— რისთვის ომობთ?—ჰკითხა ჭრელმა ჩიტმა.

— სარჩოსათვის, მუშახელისათვის. ჩვენს დედოფალს მზვერავებიც კი ჰყავს, გააგზავნის ამ მზვერავებს მტრის ბანაკში და მორჩა,—ხუთი თითივით იცის იმათი ასავალ-დასავალი.

— ბიჭოს! ამათ არ უყურებთ?—გაიოცა კენგურუმ.

— დედოფლის ბრძანებაზე, მებრძოლი ჭიანჭველების ჯარი მოულოდნელად გადადის იერიშზე. მტერიც ვაუკაცურად გვხვდება: აგებენ ზღუდეებს, მალავენ თავიანთ შვილებსა და სარჩოს. ხომ იცით, ომი ომია,—ბრძოლის ველზე უამრავ დაჭრილსა და მომაკვდავ ჭიანჭველას ნახავთ. თუ გავიმარჯვეთ, ხომ კარგი,—წამოვიყვანთ ტყვეებს და ვამუშავებთ, როგორც გვინდა, თუ არა და...

— მერე, მერე?

— ადამიანებისა არ იყოს, ჩვენცა გვყავს ძალი, ღორი, ცხვარი, ძროხა. მწყემსი ჭიანჭველები ძროხებს საბალახოდ გარეკავენ ხოლმე და საღამო ხანს ისევ უკან მოჰყავთ. მოვუფხაჭუნებთ ძროხას მუცელზე, და ისიც პირში გვაწვეთებს ტკბილ სითხეს—ჩვენებურ რძეს.

— იფ, იფ, რა გემრიელი იქნება!—წამოიყვირა მაიმუნმა.

— კვეხნაში არ ჩამომართვათ და ჩვენზე ღონიერი ქვეყნად არავინაა.

— ხი, ხი, ხი,—ჩაიცინა სპილომ,—შენც რომ ღონეზე ლაპარაკობ!

— ჰო, იცინე, იცინე! შენ რომ შენი წონა ტვირთი აგკიდონ, წელში გაწყდები; მე კი ათ ჩემ წონა ტვირთს ისე წამოვიკიდებ ზურგზე, ვითომც არაფერი.

სპილომ თავი ჩაღუნა...

ავტობუსი არხეინად მიჰქროდა და ჭიანჭველაც ხალისიანად განაგრძობდა თავისიანებზე საუბარს.

(გაგრძელება იქნება)

ზღარბი დაეხმარა

გერმანული საბავშვო ჟურნალიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუკრები

ბიო

თინათინ ჯავახიშვილი

პატარა გიო ძალიან ცელქი ბიჭუნაა.

მამა ხშირად ემუქრება: თუ კარგად არ მოიქცევი, იცოდე, საკუნაოში ჩაგკეტავო.

ერთხელ ბებიამ გიოს წითელი, ლამაზი მანქანა მოუტანა. გიომ მაშინვე დაშალა და „აწყობას“ შეუდგა:

დედამ უთხრა:

— გია, იცოდე, ასეთი ლამაზი მანქანის დაშლისათვის მამიკო საკუნაოში შეგამწყვდევს.

ამ დროს ბებიას რაღაც გაახსენდა, პალტო წამოისხა და ის იყო, ოთახიდან უნდა გასულიყო, რომ...

— შენ რისა გეშინია, ბებო? მე შემამწყვდევენ საკუნაოში, შენ ხომ არა.—მიაძახა გიომ.

ბრაბანდული

ბრაბანდული ლა ბოჯეჯი

ბიბი ძნელაძე

ამოვარდა ზენა ქარი,
ჩამოვარდა ხიდან მსხალი...

გამოქანდნენ გოუნენები,
ერთი—პრეიი,
ერთი—თეთრი,
ნეტავ, როგორ გაიყოფენ?
გოუნ—ორი,
მსხალი—ერთი!

შევრიგდეთ

ნუნუ ლაღიძე

— რად გამებუტე, მაიკო,
განა ისეთი რა იყო?
მოდი, ახლავე შევრიგდეთ...
თორემ ქვეყანამ გაიგო.



საკლასო ოთახი დაღაგებამდე...



და დაღაგების შემდეგ

გამოცანა

დაუღლელი მშრომელია,
ვერ ეძრება ღონით სპილო,
თავის წონა ტვირთს დაათრევს
წვრილკისერა, სასაცილო.

ქეთევან გუგუშვილი

ხუროები

მზია ჩხეიშვილი

იშმუშნება ბურბუშელა
ლიას თმების ფერი,
— დელი, ბიჭო, დელი, დელა!—
შალაშინი მლერის.

ატრიალებს ჩაქუჩს გელა;
რაკარუკის ხმითა,—
— დელი, ბიჭო, დელი, დელა,—
ხერხიც აღილინდა.

— რას უზიხარ, დაგვეხმარე,—
ძმას ეძახის გელა,
დავტრიალდეთ, კოხტა ოდა
წამოვჭიმოთ ხელად.



მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი.

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, მაყვალა მრევლიშვილი, ჯემალ ნინუა, იორამ ძემეტალიძე (პ/მგ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი), გივი ძნელაძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური ჟურნალი

ყდაზე ნახატი გიორგი რობინიშვილისა

ტექრედაქტორი ბ. რობინიშვილი

გადაეცა წარმოებას 41-ე ნელი.

რედაქციაში შემოსული მასალები აიტორებს არ დაუბრუნდებათ.

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. გამომც. შეკვ. № 2168. ანაწყობის ზომა 91/2×13. ტირაჟი 105.800. ქაღ. ზომა 61×90 1/8. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-68 წ. ფურცელი დაბეჭდილია სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატში ლენინის ქ. № 14. „ДИЛА" № 9 на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 91 რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრსპ. № 91. ტელ. 95-37-48, 95-18-09. ფასი 20 კაპ.

6194/84

76055

ჩაის კრეფა—ნახატი **მარინა ჩხეიკვიშვილისა**, 7 წ. ქ. ბათუმი.

გვირილები—ნახატი **გულნაზ ბერიძისა**, 10 წ. ამბროლაურის რაიონი, სოფ. ურავი.

ტუე—ნახატი **მამუკა მამალაძისა**, 7 წ. თბილისი.

სოფლის განაპირას—ნახატი **ხოხო ბლიაძისა**, 7 წ. თბილისი.

შემოდგომა ქალაქში—ნახატი **თამარ საგინაშვილისა**, 6 წ. თბილისი.

პეპლები ყვავილებზე—ნახატი **მაია ტატიშვილისა**, 6 წ. ქ. ჭიათურა.

მზიანი დღე—ნახატი **მაია ქველიძისა**, 6. წ. თბილისი.